ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 4

ქ. ბათუმი **04 იანვარი 2021 წელი**

ერთის მხრივ **ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენლი **მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პაატა მუხაშავრიას** სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,ini.ge ჯგუფი"** წარმოდგენილი მისი **დირექტორის სანდრო გიუნაშვილის** სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და SMP200005409 (2020 წლის 21 დეკემბრის N 5331 განკარგულება) თანხმობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი, ფასი და სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის **სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და მომსახურების** (CPV კოდი 72212190) შესყიდვა.

2.2. მომსახურების ღირებულება **თორმეტი თვის განმავლობაში შეადგენს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.**

2.3. ერთეულის ფასები განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართში №1, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2.4. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (დანართი №2) და ამ სფეროში მოქმედ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **აკაკი მუხაშავრია**

4. მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებლის მიერ შემდეგი პირობის დაცვით:

4.1.1 მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველს უნდა მიამაგროს სპეციალურად გამოყოფილი პირი (სპეციალისტი), რომლიც უშუალოდ შემსყიდველის თამამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის დანერგვას.

4.1.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტის მიღების შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველთვიაურად ლარში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

6.3 ანგარიშსწორება მხარეთაშორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშ-ვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგა-ნიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკ-რულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღიურებულების 20% ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდ-ებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებთ პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებუ-ლებების შესრულებისაგან.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარ-ბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხ-რივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველსშეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილო-ბითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შეს-

რულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდა-პირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილ მათ შორისხელშეკრულების ან მას-თან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმე-ბით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. შეტყობინება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბა-მისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ორმხრივად ხელმო-წერის **დღიდან 2022 წლის 01 თებერვლამდე**

16. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად აქვს თანა-ბარი იურიდიული ძალა და თითო მათგანი ინახება მხარეებთან.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლება-მოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი :

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მის. ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას 19/32
გდსნ 245628496
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახაზინო კოდი 708897520

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
პაატა მუხაშავრია

Paata Mukhashavria

Подписано цифровой подписью: Paata Mukhashavria
DN: cn=Paata Mukhashavria, serialNumber=61003008861, o=Citizen, c=GE
Дата: 2021.01.04 12:41:55 +04'00'

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ini.ge ჯგუფი“

მის. ქ. თბილისი, სამეფოს ქ. N41
გდსნ 417877131
სს "საქართველოს ბანკი~

ანგარიში - GE37BG0000000609184200

დირექტორი:
სანდრო გიუნაშვილი

Levan Totadze

Digitally signed by Levan Totadze
Date: 2021.01.06 19:59:13 +04'00'

2021 წლის 04 იანვრის № 4 ხელშეკრულების დანართი 1

დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
სისტემის მომსახურება	თვე	12	1000	12 000

შემსყიდველი ორგანიზაცია:

სსიპ ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტი

მიმწოდებელი:

შპს „ini.ge ჯგუფი“

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
პაატა მუხაშავრია

Paata Mukhashavria

Подписано цифровой подписью: Paata Mukhashavria
DN: cn=Paata Mukhashavria, serialNumber=61003008861, o=Citizen, c=GE
Дата: 2021.01.04 12:42:21 +04'00'

დირექტორი:
სანდრო გიუნაშვილი

Levan Totadze

Digitally signed by Levan Totadze
Date: 2021.01.06 19:58:54 +04'00'

ტექნიკური დავალება

სასწავლო პროცესი

სტუდენტის განყოფილება

1. სკოლების/სპეციალობებისა და სტუდენტების მართვა (სტუდენტის დამატება; სტუდენტების რედაქტირება; Excel-ის იმპორტი (მასობრივი დამატება); სტუდ-ენტების ფილტრაცია პარამეტრების მიხედვით);
2. სტუდენტის პროფილი (სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო ბარათი სტუდენტის ინფორმაცია);
3. საბეჭდი ფორმები (ინდივიდუალური რეპორტი; ფორმა 26; ცნობა; ნიშნების ფურცელი (ინგლისურ/ქართული); ბრძანებები; ჩარიცხვის ფორმა);
4. სტუდენტების მართვის ფუნქციები (დაბლოკვა/ბლოკის მოხსნა; წერილის მიწერა სტუდენტის პანელში გადასვლა; ფაილის მიმაგრება);
5. მობილობა (შიდამობილობა; გარემობილობა);
6. სტატუსის ცვლილება (აქტიური; შეჩერებული; შეწყვეტილი; კურსდამთავრებული);
7. სტუდენტის პანელში გადასვლა.

პროფესორ-მასწავლებლების განყოფილება

1. პროფ. დამატება / რედაქტირება;
2. ფილტრაცია;
3. პროფ. პანელში გადასვლა.

საგანმანათლებლო პროგრამები

1. პროგრამის დამატება / რედაქტირება;
2. მოდულის დამატება / რედაქტირება;
3. ჯგუფის დამატება / რედაქტირება;
4. საგნის დამატება / რედაქტირება;
5. საგანმანათლებლო პროგრამის დუბლირება;
6. სტუდენტების მიბმა პროგრამებზე;
7. წინაპირობების გათვალისწინება საგნის მიმართ;
8. წინაპირობების გათვალისწინება ჯგუფის ერთერთი ან ყველა საგნის მიმართ;
9. სილაბუსის გენერირება;
10. უწყისის გენერირება.

სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია

1. ძირითადი სასწავლო კურსების ავტომატური რეგისტრაცია;
2. არჩევითი სასწავლო კურსების გამოცხადება / არჩევა;
3. მაინორი სასწ. პროგრამების გამოცხადება / არჩევა;
4. თავისუფალი კრედიტის არჩევითობა;
5. ლიმიტების კონტროლი (სტუდენტების მინიმალური რაოდენობა ერთ სასწ. კურსზე; სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ერთ სასწ. კურსზე).

სასწავლო კურსები

1. სასწავლო კურსის დამატება;
2. რედაქტირება;
3. სასწ. კურსზე კოდური სისტემის ავტომატური გენერირება;
4. საგნობრივი რუბრიკების მართვა;
5. ფილტრაცია;
6. სილაბუსის გენერირება;
7. სასწავლო კურსის განმახორციელებელის მიბმა;
8. სასწავლო კურსის პროგრამებში რეალიზაციის რეპორტინგი;
9. სასწავლო კურსის სტუდენტებთან ბმის მონიტორინგი.

უწყისები

1. უწყისის დამატება;
2. უწყისის რედაქტირება;
3. ფილტრაცია;
4. სტუდენტების ექსპორტი;
5. სილაბუსის ატვირთვა ელ. ფაილში;
6. დუბლირება;
7. შაბლონური უწყისების გენერირება;
8. სტუდენტების მიბმა.

შეფასება

1. ფილტრაცია;
2. სტუდენტთა შეფასების მონიტორინგი;
3. საბოლოო უწყისის გენერირება საერთო / ჯგუფების მიხედვით;
4. შეფასები ექსპორტი Excel-ის ფორმატში საერთო / ჯგუფების მიხედვით;
5. უწყისების ვირტუალურ ჯგუფებად დაყოფა;
6. პროფესორის მიბმა უწყისზე;
7. კომპონენტების მიბმა;
8. უწყისის სრულყოფილების იდენტიპიკატორი.

შეფასების სისტემა

1. სასწავლო კომპონენტების შექმნა;
2. კომპონენტების გამოთვლითი ალგორითმის შედგენა;
3. კომპონენტების პრიორიტეტული სორტირება.

სასწავლო ცხრილის დამატება

1. პროფესორის / სტუდენტის მიმაგრება;
2. ჯგუფის დამატება;
3. აუდიტორიების გადაკვეთა დროის მიხედვით;
4. ფილტრაცია.

ბუღალტერია

1. ფასის მართვა საგ. პროგრამების მიხედვით;
2. ფასის მართვა მულტივალუტიანი;
3. სტუდენტებზე ინდივიდუალური გადახდების რეგულირება;
4. გრანტების რეგისტრაცია ტიპების მიხედვით;
5. ფილტრაცია;
6. ინვოისების გენერირება სემესტრებისა და წლების მიხედვით;
7. ინვოისების ფილტრაცია;
8. ინდივიდუალური ინვოისის შექმნა;
9. ჯგუფური ოპერაციები;
10. ტრანზაქციების მონიტორინგი;
11. ტრანზაქციების ექსპორტი Excel-ის ფორმატში;
12. სტუდენტების საბალანსო სისტემა;
13. თანხის ჩარიცხვა სტუდენტის ბალანსზე;
14. დავალიანებების მონიტორინგი;
15. დავალიანებების ექსპორტი ექსელში.

ბიბლიოთეკა

1. წიგნების დამატება ეგზემპლარების მიხედვით;
2. უნიკალური იდენტიპიცირება;
3. დასაწყობება;
4. ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგი;
5. წიგნების ცირკულარიზაცია (დაჯავშნა; გატანა; დაბრუნება);
6. მკითხველის დამატება;
7. ინდივიდუალური კატეგორიზაცია;
8. ბიბლიოთეკის ინტეგრაცია პროფესორის პანელში;
9. ინტეგრაცია სტუდენტის პანელში (წიგნისმოთხოვნა; გატანილი წიგნების ნუსხა);

კანცელარია

1. დოკუმენტბრუნვა (შემოსული/გასული წერილების აღრიცხვა, ფილტრაცია, ბრძანებები;
2. განცხადებები;
3. მოხსენებითი ბარათები;
4. წარდგინებები.

ინფორმაცია

1. გაცემული ცნობების ნახვა.

მომხმარებლები

1. მომხმარებლების დმატება;
2. რედაქტირება;
3. უფლებების მართვა.

ტესტირება

1. კითხვარის ინდივიდუალური მართვა;
2. კითხვარის ექსპორტი ექსელში;
3. კითვარზე ქულების მინიჭება;
4. სწორი ვარიანტების რაოდენობის მართვა;
5. სტუდენტის შედეგების მონიტორიგნი;
6. შედეგების ინტეგრაცია უწყისში.

გამოკითხვა

1. გამოკითხვის დამატება;
2. სტუდენტებთან ინტეგრაცია;
3. ლექტორებთან ინტეგრაცია;
4. შედეგების ანალიზი;
5. სტატისტიკური რეპორტინგი.

სისტემის დამატებითი ფუნქციები

1. პარამეტრები (წლიური კრედიტის კონტროლი; სემესტრული კრედიტის კონტროლი სასწავლო კურსზე კოდის ავოტმატური გენერაცია; შეფასების სისტემის გადართვა);
2. განცხადებები (განცხადებების დამატება; გამოქვეყნება სტუდენტის მხარეს გამოქვეყნება ლექტორის მხარეს; ფაილის მიბმა);
3. ავტორიზაციის პარამეტრები (ავტორიზაცია სამომხმარებლო სახელით; ელფოსტით Google Account-ით; პროფესორისა და სტუდენტის პანელის დივერსიფიკაცია);
4. კომპონენტების ბლოკირება;
5. ცვლილებების მონიტორინგი - ლოგები (ნიშნის ცვლილების მონიტორინგი; წაშლის მონიტორინგი);
6. რეპორტები (GPA სემესტრული / საშუალო / წლიური; ფილტრაცია; დავალიანებული სასწავლო კურსების რეპორტი).

დამატებითი მომსახურებები:

- 24 საათიანი სატელეფონო და ონლაინ კონსულტაცია;
- ადმინისტრაციული პერსონალის, ლექტორების და სტუდენტების ტრენინგი;
- მუდმივი კონტროლი, მონიტორინგი და დახმარება სისტემის მართვაზე;
- ბაზის რეზერვაცია და უსაფრთხოება;
- შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, გონივრულ ვადაში შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონულ პროგრამაში ცვლილებების განხორციელება სამუშაოს სპეციფიკიდან და სახელშეკრულებო ვადიდან გამომდინარე.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

პაატა მუხაშავრია

მიმწოდებელი:

შპს „ini.ge ჯგუფი“

დირექტორი: სანდრო გიუნაშვილი

Paata Mukhashavria

Подписано цифровой подписью: Paata Mukhashavria
DN: cn=Paata Mukhashavria, serialNumber=61003008861, o=Citizen, c=GE
Дата: 2021.01.04 12:42:57 +04'00'

Levan Totadze

Digitally signed by Levan Totadze
Date: 2021.01.06 19:58:14 +04'00'